

მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების
დანერგვა დაწყებით კლასებში

მაგისტრანტები: თამარი სახეჩიძე

თამარი კურტანიძე

ელენა სომხიშვილი

*„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის
განათლების (I-VI კლასები) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად“*

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (I-VI კლასები) ინტეგრირებული
საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიკო ლობჯანიძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა

დოქტორი, პროფესორი

თანახელმძღვანელი: ეკა ტყავაშვილი, განათლების დოქტორი, ასოცირებული

პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”.

თამარი სახეჩიძე

თამარი კურტანიძე

ელენა სომხიშვილი

17.06.2023

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, რომელიც განვახორციელეთ გეგუთის N1 და თბილისი N156-ე საჯარო სკოლის დაწყებით კლასებში, მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშეწყობი სტრატეგიების დანერგვა სასწავლო პროცესში გეგუთის N1 და თბილისის N156 საჯარო სკოლების დაწყებითი კლასის მოსწავლეებში.

პრაქტიკის კვლევის განხორციელებისას გამოვიყენეთ, როგორც რაოდენობრივი (მოსწავლეთა კითხვარი), ასევე თვისებრივი (ჩაღრმავებული ინტერვიუ მასწავლებლებთან, ფოკუსჯგუფი მშობლებთან და გაკვეთილზე დაკვირვება) მეთოდები. აღნიშნული ინსტრუმენტების საშუალებით დავადგინეთ, რომ გეგუთის N1 და თბილისი N156-ე საჯარო სკოლის მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეებს არ/ან ნაკლებად აქვთ განვითარებული მეტაკოგნიტური უნარები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათ დამოუკიდებელ შემსწავლელებად ჩამოყალიბებაში.

ასევე, გამოიკვეთა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუშალეს მეტაკოგნიტური სწავლის უნარების განვითარებას, ეს ფაქტორებია: დისტანციური სწავლება; მშობლებთა მაღალი ჩართულობა თავიანთი შვილების დავალებების შესრულებისას; სწავლის ეფექტური სტრატეგიების ნაკლებად გამოყენება სასწავლო პროცესში.

მეტაკოგნიტური უნარების გაუმჯობესების მიზნით გეგუთის N1 საჯარო სკოლის შემთხვევაში შევიმუშავეთ ინტერვენცია “კვირის გეგმა”, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების მთელი ციკლის განვითარებას, კერძოდ, დაგეგმვას, მონიტორინგსა და შეფასებას.

თბილისის N156-ე საჯარო სკოლის შემთხვევაში კი, დავგეგმეთ ინტერვენცია “კოგნიტური დიაგრამები, როგორც სწავლის ეფექტური სტრატეგიები”. მათი

დახმარებით მოსწავლეები გამოიმუშავენ, როგორც მეტაკოგნიტურ უნარებს, ასევე მეტად დაინახავენ კავშირებს ტექსტებსა და მათ საჭიროებას შორის. კოგნიტური დიაგრამები მოსწავლეს ეხმარება გახდნენ დამოუკიდებლად შემსწავლელები.

ინტერვენციების შესაფასებლად გამოვიყენეთ: მოსწავლეთა კითხვარი, ფოკუს-ჯგუფი მშობლებთან, ჩადრმავებული ინტერვიუ მასწავლებლებთან. ასევე, თბილისის სკოლის შემთხვევაში მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზი. ინტერვენციების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსწავლეთა მეტაკოგნიტური- დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების უნარები, გაიზარდა მოსწავლეთა დამოუკიდებლობა, ჩართულობა, მოტივაცია და პასუხისმგებლობის უნარი საგაკვეთილო პროცესში.

იმისათვის, რომ მიღებული შედეგები გაუმჯობესდეს უკეთესია, გაგრძელდეს კვირის გეგმითა და კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა. სასწავლო დაწესებულების წინსვლის მიზნით, სასურველია, კვლევის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან, რათა დამკვიდრდეს სასკოლო კულტურაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მეტაკოგნიცია, „კვირის გეგმა“, “კოგნიტური დიაგრამები”.

Abstract

This master's thesis is a report on the action research, which was carried out in the primary grades of the public schools of Geguti N1 and Tbilisi N156, in order to promote the development of students' metacognitive skills.

The purpose of our study was to introduce strategies promoting the development of students' metacognitive skills in the learning process among the primary school students of Geguti N1 and Tbilisi N156 public schools.

We used both quantitative (student questionnaire) and qualitative (in-depth interviews with teachers, focus groups with parents, and lesson observation) methods when conducting action research. With the help of the mentioned tools, we defined that the third and fourth grade students of Geguti N1 and Tbilisi N156 public schools have no/or less developed metacognitive skills, which has a negative impact on their formation as independent learners.

Also, the main factors that prevented the development of metacognitive learning skills were identified, these factors are: studying online; parents' high involvement in fulfilling their children's tasks; lack of use of effective learning strategies in the learning process.

In order to improve metacognitive skills, in the case of Geguti Public School N1, we developed the intervention "Weekly Plan", which promotes the development of the entire cycle of metacognitive skills in students, namely, planning, monitoring and evaluation.

In the case of N156 Public School of Tbilisi, we planned the intervention "Cognitive diagrams as effective learning strategies". With their help, students will develop both metacognitive skills and see more connections between texts and their needs. Cognitive diagrams help students become independent learners.

To evaluate the interventions, we used: student questionnaire, focus group with parents, in-depth interview with teachers. Also, in the case of the Tbilisi school, the analysis of students' works. As a result of the interventions, students' metacognitive skills: planning, monitoring and evaluation abilities increased significantly, students' independence, involvement, motivation and responsibility in the learning process increased.

In order to improve the obtained results, it is better to continue working with the weekly plan and cognitive diagrams. In order to advance the educational institution, it is desirable to share the

knowledge and experience gained within the framework of the research with other members of the school community in order to implement these methods in the school culture.

Keywords: metacognition, "weekly plan", "cognitive diagrams".

მადლობა

მადლობას ვუხდით თამარ მეფის სახელობის სოფ.გეგუთის N1 და ქ.თბილისის N156-ე საჯარო სკოლის დირექტორებს ქალბატონ მაია მამისეიშვილსა და ქალბატონ თეონა აბულაძეს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის.

მადლობას ვუხდით გეგუთის N1 საჯარო სკოლის მე-3 კლასის მასწავლებელს ეკა გიგიაძეს, ასევე, თბილისის N156-ე საჯარო სკოლის მე-4 კლასის მასწავლებელს ანა შეყელაძეს, კვლევაში ჩართულ პედაგოგებს ორივე სკოლიდან, მშობლებსა და მოსწავლეებს აქტიური თანამშრომლობისთვისა და მხარდაჭერისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი კვლევის აკადემიურ ხელმძღვანელს, სოფიკო ლობჯანიძესა და თანახელმძღვანელ, ეკა ტყავაშვილს მხარდაჭერისთვის, საჭირო სამეცნიერო ლიტერატურის გაზიარებისა და სათანადო უკუკავშირისთვის.